საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-727

ქ. თბილისი

02/08/2019

გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში შპს „ალფას“ ზეთის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. გამარჯვებაში შპს ,,ალფას'' ზეთის გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N72 (18.07.2019წ.);
2. შპს ,,ალფამ'' სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N72 (18.07.2019 წ.) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ალფას'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ალფას'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი